რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.
ხელის-მოწერა
მიიღება ტფილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
«დროების» ფასი
მთელის წლისა. . 9 მ. | სამის თვისა. . . 3 მ.
ექვსის თვისა . . . 5 მ. | ერთის თვისა. . . 1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
წვრილის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი. ასო მთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი. ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე რვა კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია ასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს ერთი შაური

ეს ნომერი შეიცავს ექვსს გვერდს.

## ტელეგრამები

მოსკოვი. 19 მაისს. დღეს ხელმწიფე იმპერატორთან სადილზე მიწვეულნი არიან უწმინდესი სინოდის წევრნი, უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენელნი და სახელმწიფოს წარჩინებულნი პირნი.

გუშინ მათი დიდებულება დაესწრენ დიდ თეატრში წარმოდგენაზედ: მოისმინეს ოპერა და ბალეტს უყურეს, თეატრი მშვენივრად იყო განათებული. ფოიე, კიბე და იმპერატორის ლოჟა ყვავილებში და ტროპიკულ მცენარეებში აღარა სჩანდენ. იმპერატორი მეუღლით მობრძანდა თეატრში რვის ნახევარზედ, თეატრის გარშემო მოედანი ხალხით იყო სავსე, იმპერატორმა ხალხს თავი დაუკრა და დიდხანს ისმოდა „ურა"! როდესაც იმპერატორი თავის ლოჟაში გამოჩნდა, ყველანი ფეხზედ წამოდგენ და ერთ ხმა „ურა"! დასძახეს. მერე აიხადა ფარდა და სცენაზედ გამოვიდა შვიდ ასამდე კაცი, რომელთაც სახალხო ჰიმნი იმღერეს. ოპერაში მღეროდენ არტისტები: ორლოვი, უსაგოვი, კარიაკინი და კოჩეტოვა, ანტრაქტებში კამერ-ლაქიებს დაჰქონდათ ფოდნოსებით ხილი და სასმელები მსურველთათვის. სპექტაკლი გათავდა თერთმეტის ნახავარზედ.

თბილისი, 19 მაისი.

უკანასკნელ თავის ნომერში «იურიდიჩესკოე ობოზრენიე» გაკვრით შეეხო იმ კითხვას, რომელიც ამ ბოლოს დროს დღიურ ვარამს შეადგენს ჩვენის საზოგადოებისთვის და თუმცა გაზეთი მოვალეა ამისთანა კითხვებზედ დაუყოვნებლივ პასუხი მისცეს, მაგრამ ხმის ამოღება ყველას ზემოხსენებულმა ჟურნალმა დაასწრო. მთავარ-მართებლობის გაუქმება ჩვენ მხარეში იყო პირველი ნაბიჯი განსაკუთრებული პირობების მოსპობისა კავკასიაში. დღეიდგან კი ეს დაშორებული და დიდრონი მთებით მოწყვეტილი მხარე უნდა ორგანიულად შეუერთდეს რუსეთს, ესე იგი გავრცელდეს კავკასიაზედ ყველა ის უფლებანი და კანონები, რომელნიც შიგნით რუსეთში მოქმედებენ, რასაკვირველია, იმ ცვლილებით რაც არ შეეფერება ზოგიერთს ადგილობრივ პირობებს. მაშ თუ რუსეთი ძმად მიგვიჩნევს და ყველა იმ რეფორმებს, იმ უფლებებს მოგვანიჭებს ჩვენც, რაც თითონა აქვს, ჩვენი ზნეობითი მოვალეობაა გაუსწორდეთ და ვიკისროთ ყველა ის ვალდებულება, რომელიც აქამდე ის მარტო რუსეთის ხალხს აწევს კისერზედ. ერთი უმაღლესი და მძიმე მოვალეობათაგანი, რომელიც ყველა მოქალაქეს და თავის ქვეყნის შვილს მოეთხოვება სამშობლოსაგან არის ქვეყნის დაცვა გარეგანი მტრებისაგან.

«ვისაც ძე არ შეუცლავს,
როს მამულს სჭირებია,
შვილი იმ ვაგლახ დედას
შვილი არ ჰყვარებია!.»

...უკვდავი არის შვილი
მამულისთვის მომკვდარი....»

გვეუბნება პოეტი და ამ რამდენიმე სტრიქონში გვიხატავს როგორც დედის, ისე შვილის წმინდა მოვალეობას მამულის წინაშე. მართალია აქამდინაც ყველა ომებში საქართველოს შვილებსაც რუსეთთან ერთად მიუშვერიათ გული სახელმწიფოზედ მომდგარი მტრის ტყვიისთვის, მაგრამ ესე კანტი—კუნტად, მხოლოდ კარზედ მომდგარის მტრის დროს მდევარის ძახილი და საბრძოლველად გამოსვლა აღარ შეეფერება ეხლანდელ დროს. ეხლა თუ სახელმწიფოს უნდა მყუდროობით სტკბებოდეს და მისი შინაგანი წარმატება წინ-წინ სწევდეს, უთუოდ საჭიროა რომ ერთი რომელიმე ნაწილი იმისი შვილებისა მუდამ იარაღ ასხმული იყოს და სდარაჯობდეს, რომ უეცრივ მომდგარმა მტერმა მყუდროობა არ შეუშფოთოს. ერთის სიტყვით, მოკლედ რომ ვსთქვათ ყველა სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს მუდმივი და ყოველთვის საომრად მომზადებული ჯარი. ეს მუდმივი ჯარი ანუ სალდათი აქამდენ მარტო რუსეთიდამ გამოდიოდა ჩვენ კი თავისუფალნი ვიყავით. ეხლა „იურიდიჩესკოე ობოზრენიე" ამბობს, რომ ხმები ისმის საზოგადოებაში, რომ კავკასიაშიც უნდა შემოიღონ მხედართ მოკრება იმ წესით, როგორც აქამდენ რუსეთშია. იქნება მართლა ეს ხმები კიდეც გამართლდეს და რაც მალე იქნება ისა სჯობია. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ხალხი, რომელიც ომში ყოველთვის ისე მიიმღეროდა, როგორც ქორწილში და ლხინში, სიხარულით მიეგებება ამ ახალ მოვალეობას და დიდის კმაყოფილებით დადგება რუსებთან ერთად თავის ქვეყნის დარაჯად. ჯერ ამითი გავათავებთ ამ დიდს მნიშვნელოვანს საგანზედ საუბარს და როდესაც გარემოება ხელს შე-

«დროების» ფელეტონი 21 მაისი.

### ჩემი აღსარება.

(ჩემს მეგობარს ა. თ—ნს.)

ოჰ, თუ უწყალო განგებას
მეც პოეტად გავეჩინე!...
რას ვიზამდი, მეგობარო,
იცი? გეტყვი, მომისმინე.

*

არ მალგიმს ცნობად, რა ეშხით
ჩამოვკრავდი მგზნესარ ჩანგსა;
რა ძლიერ სიტყვით მალიად
გულს მოვაშორებდი ჟანგსა!

*

ციურ მადლით შორს გამჭვრეტი
ავსა და კარგს მაღლით ვცნობდი:
რა უებრო სიტყვა-წყობით
საქებურსა შევამკობდი!

*

პირველ მამულს-ჩემსა სატრფოს
მუხლ-მოდრეკით თავს ვუყმობდი;
მისს მოყვარეთ ვადიდებდი
და მგმობელთა მკაცრად ვგმობდი.

*

გულს ტაძრად ჩამესახოდა
ჩემის ქვეყნის სიყვარული;
გუნდრუკს ვუკმევდი დიდების
საღმრთო ვალით აღგზნებული.

*

მარგალიტ-წყობილ ლექს-სიტყვით
შევიქმნიდი ავსა კარგად....
მიწიერი ზეცის შვილი
არ ვივლიდი ქვეყნის ბარგად!

***

მერმედ—მგრგვინავის მეხითა

დაცემულთა აღვადგენდი
და დამცემელთ ხელს მივცემდი.

*

საწყლის მდევნელსა და მჩაგვრელს
სახადივით გავსწკვალავდი,
სიტყვით მწარე სენს შევყრიდი
და კალმითა მთლად მოვკლავდი!

*

ზეცის სიმართლეს ქვეყანად
მოვავლენდი, თაყვანს ვცემდი:
მართალს დია ვადიდებდი
და უმართლოს მთლად წავწყმედდი!-.

***

ბოლოს სატრფოს გულ გამგმირავს
ნეტარ ცრემლს მოვაპკურებდი;
წყვდიადს სამოთხედ ვუქცევდი,

*

ვარდ-ნარგიზ-ია-ზამბახის
თავზედ გვირგვინს დავადგამდი....
სიამისა ცრემლს მოვგვრიდი,
იმ ცრემლს გულის წამლად ვსვამდი.

*

სატრფოსა ტახტს გავუშლიდი
ფიანდაზად ამა ჩემს გულს:
მხოლოდ მასში ის ჰპოვებდა
სამოთხეს მისთვის დანერგულს.

***

თუ რომ განგება შემქმნიდა
პოეტსა—მამულისშვილსა,
უვალ გზას მეც გავუკვალდი
ჩემს მომავალს ჯერედ ჩვილსა!

*

მაგრამ!!.. პოეტი არა ვარ
და არც პოეტთა აზრდილი,
მიტომ გულში უხმოდ კვდება
ყველა ფიქრი და წადილი.

ა.

20 აპრილს.

### ძველი და ახალი თაობა.

(წერილი დავით სოსლანთან).

მკითხველმა საზოგადოებამ იცის, რომ ჩვენი ერთად-ერთი ყოველ-დღიური გაზეთი «დროება» ახალ რედაქტორის ხელში გადავიდა; თოთხმეტის წლის შემდეგ ბ. სერგეი მესხმა „დროება" ი. მაჩაბელს გადასცა. აქ ადგილი არ არის დავაფასო ხანგრძლივი თავ-განწირული ლიტერატურული მოღვაწეობა ბ. მესხისა. ვინც იცის რა არის გაზეთი, რა მნიშვნელობა აქვს მას, იმისათვის ისიც ცხადი და აშკარაა—თუ რა მძიმე ტვირთს შეადგენს რედაქტორობა. ჩვენმა მოწინავე საზოგადოებამ, როგორც ეს თითონ «დროებამ» შეგვატყობინა, უკვე დააფასა ბ. მესხის მოღვაწეობა, შეამკო მამულის შვილი ჯეროვანის პატივის-ცემით. მომავალში პირუთვნელი ისტორიკოსი თავის მოვალეობას აასრულებს და ბ. მესხს მისცემს შესაფერს გვერდს ჩვენის ჭკუა-გონების სალაროში. ჩვენ ეხლა გვწადიან შევეხოთ ერთს კითხვას, რომელიც ზოგიერთებმა აღსძრეს ნადიმობის დროს (ნადიმი გამართული იყო ბ. მესხის პატივის საცემლად) თავიანთ სიტყვებში. ეს კითხვა გახლავთ ძველს და ახალ თაობაზე.

საზოგადობრივი მოღვაწე პირმა, რომელსაც უნდა იცნობდეს მკითხველი, პ. უმიკაშვილმა, სხვათა შორის, ex—რედაქტორის ბ. მესხის ღირსებად ისიც აღვიარა, რომ «ბატონს სერგეის განყოფა მავნებლად მიაჩნდა; ბატონი მესხი ცდილობდა მწერლობაში ყველანი შეერთებინა, ყველანი დაეახლოვებინა განურჩევლად.

გვიწყობს, მაშინ ვეცდებით ყოველის მხრით განვიხილოთ და დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველები.

---

Ისე ხშირია ტყეების გაკაფვის მავნებლობაზედ ლაპარაკი ყოველ გვარს და ყოველს ენაზედ გამოსულ სტამბის ნაწარმოებში, რომ ჩვენ აქ ვეღარა ვბედავთ ამ საგნის გამეორებას ჩვენ გვეშინიან მკითხველო თავი არ შევაწყინოთ, თუმცა როდესაც კაცი ამ გვარ მოვლენისაგან აუარებელ ზარალს მოელის, მკითხველის თავის შეწყენას ყური აღარ უნდა უგდოს და კიდევ და კიდევ თავისას გაიძახოდეს. როგორც პატონი ყოველ დღე გაიძახოდა, თუ კართაგენი არ დავამხეთ, რომი დაიღუპებაო, ისე ჩვენ შეგვიძლიან გავიძახოთ, თუ ტყეებს არ გავუფთხილდით, ჩვენი ქვეყანა დაიღუპებაო!

დღეს, ჩვენ გვინდა მკითხველისა და მეტადრე ჩვენის ადმინისტრაციის ყურადღება მივაქციოთ ერთს თუმცა მცირე საქმეს, მაგრამ ისე მცირესაც არა, რომ ლაპარაკად არა ღირდეს.

Სამზღვარ გარეთ ხშირად შეხვდებით გზების აქეთ-იქით ჩარიგებულ კაკლის, ცაცხვის, ნერგის ხეებს, რომელნიც მგზავრების თვალსაც ასიამოვნებენ და ხალხისათვისაც დიდი სარგებლობა მოაქვთ, მეტადრე ჰაერის განკარგებისათვის დაუფასებელნი არიან.

Განა ძნელი იქნებოდა, რომ ჩვენს მაზრის უფროსებს ეს ჩვენშიაც შემოეღოთ გზის პირებში მდებარე მამულის მეპატრონენი ვალდებულნი გაეხადათ და ნერგები ან სხვა რამ ადვილად სახარებელი ხეები დაერგვევინებინათ, უფრო იმისთანა, რომელთაც საქონელი არ ეტანება და არ ახდენს. Იქნება ეს ყველგან არ მოხერხდეს, მაგრამ ბევრგან წყალი ისე უხვია, რომ ხის დაგვისა და მასუკან თვალ-ყურის დაჭერის მეტი არა უნდა-რა.

Თუმცა ეს ახალი ბეგარა იქნებოდა უიმისოდაც დაბეჩავებულ გლეხკაცობისათვის, მაგრამ ისეთი ბეგარა, რომლისათვისაც შვილნი და შვილიშვილნი საუკუნოდ მადლობელნი დაგვრჩებიან.

---

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

≈≈ განცხადებიდგან მკითხველი შეიტყობდა, მაგრამ მაინც გავახსენებთ, რომ 25 მაისს, საღამოს ექვს საათზედ სათავად-აზნაურო სკოლის დარბაზში იქნება წლიური კრება წერა კითხვის საზოგადოების წევრთა.

≈≈ რაჭიდამ გვწერენ, რომ იქ დიდი სიძვირე ჩამოვარდნილა ჭირნახულისა. რამწამს თოვლი აიღო დაკუტულნი რაჭველნი ათასობით მოედინენ თურმე ქართლსა და კოდის სიმინდის (4 ფუთი) ფასი ოთხ მანათამდე ასწიეს. კიდევ კარგი, რომ მამისონის მთაზედ ურმის გზა გაჰყავთ და თუ ეს მაინც ადრე შესრულდეს, რაჭაში ჭირნახულის ფასი დაიწევს. მაშინ რაჭველები ჭირნახულის სასყიდლად სულ ვლადიკავკაზისაკენ დაიწყებენ სიარულს, სადაც პური-და-ქერი ძალიან იაფად ფასობს.

≈≈ სოფ. გაყიდამ გვატყობინებენ, რომ იქაური მცხოვრებელნი გლეხნი და აზნაურნი შეყრილან ეკკლესიაში ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევის დღეს პარაკლისი გადაუხდევინებიათ, რომლის შემდეგ სოფლის მღვდელს სიტყვა უთქვამს ამ დღის მნიშვნელობაზედ.

≈≈ ამ გვარადვე უდღესასწაულნიათ ეს დღე სოფ. ხარაგაულში კიკნაძეებს და იქაურ გლეხებს.

≈≈ გაზეთი „ეხო" გვატყობინებს, რომ ვითომც ხელმწიფის გვირგვინის კურთხევის გამო სახელმწიფო რჩევას გადაუწყვეტია, რომ სატახტო ქალაქებში მოსამსახურე პირთ ფულის საჩუქარს გარდა მიეცეთ აგრეთვე მამულები სახელმწიფო მიწებიდამ. ამ პირთა შორის ასახელებენ თითონ სახელმწიფო რჩევის წევრთა, სენატორებსა და მინისტრებს.

≈≈ ჩვენს გაზეთში იყო ცნობა საპატიო მომრიგებელ მოსამართლეების ამორჩევის თაობაზედ და ითქვა, რომ გუბერნატორმა მოსთხოვა თავად-აზნაურობის წინამძღოლებს სია იმ პირთა, რომელნიც ღირსნი არიან ამ ადგილზედ ამორჩევისა. რასაკვირველია, ეს გზა საუკეთესო გზა არის ამ გვარ პირთ ამორჩევისათვის; მაგრამ ჩვენ ისე გვაკვირვებს რომ, როგორც «Юридическое Обозрение» გვატყობინებს, თბილისში ამ გვარის სიის შედგენა პოლიცმეისტერს უჩასტკის პრისტავებისთვის მიუნდვია.

---

## „ᲨᲠᲝᲛᲐᲡ" ᲡᲐᲙᲔᲜᲐᲙᲐᲓ.

პატივცემულს «შრომას» თავდაპირველადვე დარბაისლობის სახელი დაუვარდა, მაგრამ ეს მანდილოსანი ხანდისხან ისეთს ბუქნას ჩამოუვლის ხოლმე, რომ შორით მაყურებელს პირი ღია რჩება. ზოლცდები კი არა მეტიც დაგემართება როდესაც უყურებ, რომ დაბრძნილი, დარბაისელი კაცი ჯერ დინჯად მიდის თავისთვის, მერე რაღაც ხუსტრუკი მოუვლის, იძრობს იმას, რაც ეხლა ლეღვის ფოთლის მაგიერობას უწევს და ქუჩის ბიჭების გასახარლად ასკინკილას და ბუქნას ჩამოუვლის.

Ეტყობა „შრომას" „დროების" ახალ რედაქციასთან შეჭიდების საღერღელი აშლია და რომ მიზეზი ვერა გამოუძებნია, რაღაც სრულიად უმნიშვნელო ფაქტს მოსჭიდებია კუდზე და მაგარ სიტყვებს პანტასავით ისვრის: „დროების" მექრონიკეს კითხვა არა სცოდნიაო, მოჰლანდებიაო, უზრდელიაო და სხვა ამისთანები, მეტი აღარ გეყარათ გუდაში, ბატონებო? კითხვა ვის არა სცოდნია და ლანდი ვისა სჭირებია, ამას დღეს თქვენ თითონვე ამტკიცებთ. რაც შეეხება უზრდელობას, დაგეთანხმებით, რომ შეიძლება ერთი სიტყვა მეტი მოგვსვლოდეს და „შრომა" კი ამ შემთხვევაში გალოთებულ მთიულს გვაგონებს, რომელიც,— როდესაც სხვა საჩხუბარ მიზეზს ვერას იპოვის, მოვა და წამოგედავება: შენ რომ წყალ გაღმა ცხვირს დააცემინე, მე აქ ცხენი დამიფთხა და უნდა მეჩხუბოვო. ბატონებო, თუკი ეგრეთი დიდი სურვილი გაქვთ ჩხუბისა, რაღა გაბრკოლებთ? Ეს ბურთი და ეს მეიდანი! მაგრამ როგორც შეეფერება თქვენისთანა დერბაისელ ხალხს, საჩხუბრად რამე პატივსადები საბუთი უნდა იპოვოთ, თორემ მარტო ენის მოსაქავლებად ლანძღვა და „სამ-ეტაჟიანი" სიტყვების ხმარება თქვენვე სასაცილოდ გხდისთ. მხოლოდ იმ თავ-მოპარსულებს და ბრძენს ყმაწვილებს, რომელნიც გოგოლის პოპრისჩინმა ისპანიის გრანდებად მიიღო, შეჰშვენისთ კედლებზედ ბლატება და კარებების კბენა იმიტომ,

---

Ამას ბ. Უმიკაშვილმა ისიც დაუმატა, რომ «ჩვენში მოგონილი ძველი და ახალი თაობა მოგონილი სიტყვაა, უსაფუძვლოა». ჩვენთვის აქ საჭირო არ არის ვიცოდეთ—რა საგანი ჰქონდა თვალ-წინ მესხს თავის მოღვაწეობაში. მართლა მას ახალი და ძველი თაობა მოგონილ სიტყვად მიაჩნდა, თუ არა. ჩვენ აქ უნდა განვმარტოთ, რომ არაოდეს არ შეიძლება ძველი და ახალი თაობა მოგონილი სიტყვა იყოს და მაშა-სადამე უსაფუძვლო. ჩვენშიც ძველი და ახალი თაობა მოგონილი სიტყვა არ არის და ასე რომ იყოს, მაშინ ხომ მთელი საქართველო დიდს უბედურებაში იქმნებოდა ჩავარდნილი... ზემოხსენებულით ჩვენ არ გვინდა ვსთქვათ ვითომ ყოველთვის ახალი თაობა ძველ თაობას სჯობიან. Ვინც კი დაჰკვირვებია რომელიმე განათლებულის ხალხის ცხოვრებას, ის ადვილად შენიშნავდა, რომ ხალხის ცხოვრებაში შეიძლება დასახელება სხვა-და-სხვა დროისი და ხანისი. Ერთი ხანა ბევრჯელ ძირეულად ირჩევა მეორესაგან და ყოველ შემთხვევაში ყოველ ხანას თავისი განსაკუთრებული ფერი სდევს, წინ თავის დროშა მიუძღვის. Ეს იმიტომ, რომ ხალხის ცხოვრებიდამ ემორჩილება წარმატების კანონს და ეს უკანასკნელი კანონი კიდევ მთლად აშენებულია ცხოვრების ცვლილებაზე, მოძრაობაზე. ხალხის ცხოვრება ყოველ დროსა და ჟამს ერთსა და იმავე კვალში როდი სდგას. Ეს არც შეიძლება, რადგანაც მაშინ ცხოვრება მოკლებული იქმნება ძალას, მოშორებული საგანს; ხალხის ცხოვრება ყოველთვის მოძრაობს და იქ, სადაც ეს მოძრაობა ნაკლებია, ხალხის საზოგადობრივი ცხოვრებაც უფერული და უნაყოფოა. Ასე გასინჯეთ, ჩინეთშიც კი შეხვდებით ცხოვრების მოძრაობას, იქაც კი ნახავთ, რომ ერთი დრო მცირედი რითმე მაინც განირჩევა მეორე დროიდგან...

ხსენებულს ცხოვრების ცვლილებას, მოძრაობას თან მოსდევს «თაობა», ერთს დროს ერთი თაობა, მეორეს-მეორე თაობა და სხ. რისთვის? მისთვის, რომ ცხოვრების ცვლილება ხალხის გულში და გონებაში ჰბადავს ახალ იდეალებს, აზრებს და მეორედ—თვით თაობა მიუცილებელი შედეგია ცხოვრების ცვლილებისა. Ამისათვის ვინც ამბობს, რომ ახალი და ძველი თაობა მოგონილი სიტყვაა, ის, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ჩინელის ბრძენის სწავლას ჰქადაგებს, და ეს სწავლა ხომ საქართველოსათვის არაოდეს არ არის სანატრელი...

Რისთვის ჰგონიათ, რომ ჩვენში «ძველი და ახალი თაობა მოგონილი სიტყვაა?» რა საფუძველი აქვთ ამ ყალბის და მავნებელ აზრის დასამტკიცებლად?—ჩვენის ხალხის ცხოვრება საზოგადო კანონს ემორჩილება, წარმატების კანონს გადაავლეთ თვალი ჩვენს ცხოვრებას შემდეგ რუსეთის მთავრობის შემოსვლისა, 1801 წლიდგან აქამომდე და ცხადად დაინახავთ, რომ ერთს თაობას უკან მოსდევდა მეორე, მეორეს მესამე... Ეს ცვლილება ეტყობა არა თუ მარტო საზოგადოებრივ ასპარეზზედ მოღვაწე პირთა, არამედ იმ გმირთაც კი, რომელნიც შენახულნი არიან ჩვენს ლიტერატურულ მატიანეში. მაგ., მოიპოვება ჩვენ ცხოვრებაში ერთი ხანა, როდესაც „რუსეთუმეებათ" მოდებული იყო მთელი საქართველო. Ეხლა ამას არა ვხედავთ. Აიღეთ, თუ გნებავთ, აწინდელი ჩვენი ენის განვითარება მოძრაობა. Ეს მოვლენა უკანასკნელი დროის მოვლენაა, ახალის თაობის საქმეა. ძველი თაობა ან სულ არა ჰფიქრობდა ჩვენს ვინაობაზე, ან თუ ჰფიქრობდა, მეტად ცოტას, ისე მკრთლად, რომ ვერც კი შეამცნევდით; ჰფიქრობდა ერთი და ორი და არა მთლად თაობა. Ეროვნულ მოძრაობას რომ თავი დავანებოთ და მწერლობას მივმართოთ, აქ უფრო აშკარად დავინახავთ, რომ ძველი და ახალი თაობა მოგონილი სიტყვა არ არის. შორს არ წავალთ. გუშინდელს ფაქტს დავასახელებთ. Უკვდავი და მაღალ-ნიჭიერი ბ. Ორბელიანი გულწრფელი მამულის-შვილი იყო, მაგრამ «ახალ თაობას» ვერ ურიგდებოდა; Თუმცა არც ახალ თაობას დაუშავებია რამე მამულის წინაშე, მაგრამ მაინც გულის მღელვარებითა ძველის თაობის პოეტი ჩანგსა ჰსცემდა და განრისხებული სიმწარით მოსთქვამდა:

«Უსასოება,
Ურწმუნოება
Უმანკო გულში ღრმად ჩაუნერგავს»
. . . . . . . .
«Და დაიწყევლა თქვენი აქ მოსვლა
Და თქვენის სიბრძნის ნაყოფი შხამი!»

ჩვენის ჩინელის ბრძნების აზრი რომ მართალი იყოს, მაშინ ყოველგვარ წარმატებას მოკლებული უნდა ყოფილიყო ჩვენი ცხოვრება, მაშინ ეს ცხოვრება უძრავად ერთს ადგილას იქმნებოდა გაჩერებული, მაგრამ ყველა

რომ თავისი ცხვირის წვერი ვერ დაუნახავთ და საკუთარ იდაყვზედ ვერ უკბენიათ.

შეიძლება, როდესაც ,,შრომამ“ გ. ქანანოვი ,,დროების“ რედაქტორად გამოაცხადა, სხვა რამე დაფარული აზრი ჰქონდა გულში და როდესაც წადილი ვერ შეუსრულდა, იმან გაანჩხლა და ჩვენზედ მოჰსურვებია გულის მოფხანა, მაგრამ იმ დალოცვილს ცხადად უნდა გამოეხატა თავისი სურვილი, თორემ ეს იმასა ჰგავს: ამირან გულში მღეროდა, ყმანო. ბანი მითხარითო.

## წერილი რედაქტორთან.

თბილისის ქუჩები გამსებულია მთხოვარეებით, რომელნიც საზოგადოებას მოსვენებას არ აძლევენ. საცოდავი პატარა ბავშვები, რომელთაც არა იშვიათად დაათრევენ ბოშის დედაკაცები, წამ-და-უწუმ ჩხავიან გულის გამგმირელის ხმით, რადგანაც ეს დედაკაცები უწყალოდა სჩქმეტენ ხოლმე და არა იშვიათად ნევსითაც სჩხვლეტენ.

ამ უკაცურობას იმისთვის ჩაიდენენ, რომ მოსიარულეებს ბავშვების წივილით თავი შეაბრალონ და გროში მაინც არის გამოამეტებინონ.

თბილისში პირუტყვებსაც-კი ჰყავს თავიანთზედ მზრუნველი საზოგადოება და ნუ თუ ადამიანის შვილებმა ვერ დაიმსახურეს ამ გვარი ყურადღება?

თუ იმ საცოდავს, ყოველ ნუგეშს მოკლებულს ბავშვებზედ აღარავინ ჰფიქრობს, იმაზედ მაინც იფიქრონ, თუ რა რიგი წევრები ეზრდება საზოგადოებას, რამდენი მავნე და ძნელად გასასწორებელი ხასიათები სჩემდებათ ამ ბავშვებს და რამდენს ხათაბალას დამართვენ ეს უბედურები, როდესაც წამოისდებიან...

ვგონებთ ქალაქისათვის მეტად ძნელი და მომეტებული არ იქნებოდა, რომ ამ საგნისთვის ყურადღება მიექცია და ეხლა რაოდენიმე ფულის გადადებით თავიდან აეცილებინათ ის უსიამოვნოება და ხარჯი, რომელიც შემდეგში უეჭველად და აუცილებლად თავს მოეხვევა.

ა. გ.

## ნარევი

რითი სჯობიან იმერლები! რუსეთის ერთს სამაზრო ქალაქში ბანკის დირექტორს ირჩევენ. ბასსი ჩამოვარდა ჯამაგირზედ.

— ორმოც-და-ათი თუმანი არა კმარა; ასი დაუნიშნოთ, ყვირის ერთი.

— ასი ბევრია, ოთხმოცი ეყოფა.

— იყოს ოთხმოცი.

— მოდი ახლა დირექტორი ამოვირჩიოთ.

— ამოვირჩიოთ,

— რაღა ახალი ვეძებოთ, ძველზედ უკეთესს სად ვიშოვით? ყვირის ერთი. სიჩუმე. ადგება ძველი დირექტორი.— გმადლობთ, ბატონებო, მაგრამ აღარა მსურს. მეორე ოთხი წელიწადი ორმოც-და-ათი თუმნად გემსახურეთ და ეხლა ოთხმოც თუმნად გინდათ მიმსახურეთ. უკაცრავად, აღარ შემიძლიან! შეიქნება ყვირილი: გთხოვთ დარჩეთ, გთხოვთ? დირექტორი თავს უკრავს.

— არას გზით არ შემიძლიან. მეორე წვალება.

— კარგი, თუ გაწვალეთ, ეხლა დაგასაჩუქრებთ და შემდეგ კიდევ მოგიმატებთ.

— არა, მე ოთხმოც თუმნად სამსახური არ შემიძლიან.

— მაშ რამდენსა გთხოვ?

— მომცემთ ას-ოც თუმანს გემსახურებით თუ არა და არა...

— რას ამოობ? ას-ოცი ბევრია, ასიც კმარა.

— არა ას-ოც თუმანზედ ნაკლებ არ შემიძლიან. თვეში ათი თუმანზედ ნაკლები რაღა იქნება!

— ბატონებო მივსცეთ ას-ოცი თუმანი; რაღას ვაწუხებით? თანხმა ხართ?

— თანხმა ვართ? ხმას აღარავინ იღებს: მაშ აბა კენჭი უყაროთ. ძველ დირექტორს მეტოქე გამოუჩნდება. კენჭს უყრიან და ძველს დირექტორს, რომელსაც ისე გულს მოდგინეთა ეხვეწებოდენ გაასამართლებლად, შეიქნება ერთი უშველებელი ხითხითი. ახალ დირექტორს ულოცავენ და ერთი ეუბნება: ეგ ორმოცი თუმანი მაგან მოგიმატა აი, ოთხ წელიწადში ას-სამოც თუმანს იზამს, ერთი მაინც დაჰპატიჟე.

რაღა ქუთაისის და თბილისის ბანკების კრება! ბანკი ისეთი რამ ყოფილა, რომ ერთ ნაირათა ჰკვეშავს ხალხს.

ეს ამბავი რომ ჩვენი მოგონილი არ გეგონოსთ, ნახეთ «რუსკი კურიერის» მე 57 №.

## განცხადებანი

### რედაქციისაგან.

ცალკე ნომრები იყიდება ,,ივერიის“ მაღაზიაში ბულვარზედ ,,დროება“ პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს ექვსი მანათი პირველის იანვრიდამ 1883, ან სხვა თვიდამ

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ იმ პირობით, თუ [illegible] წერნი ზოგიერთ ნომრების [illegible] დებლობისათვის უკმაყოფილებას არ გამოაცხადებენ, რადგან ეს ნომრები რედაქციაში აღარ არის. ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველის რიცხვიდამ.

ვთხოვთ ქალაქის ხელის მომწერლებს, თუ ქალაქს გარეთ ვინმე გავა საზაფხულოდ ადრევე შეგვატყობინონ ახალი ადრესი, და 50 კაპ. წარმოადგინონ ადრესის გამოსაცვლელად.

ქალაქს გარეთელ ხელის მოწერელთაც სთხოვს რედაქცია ყოველთვის ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. წარმოადგინონ ხოლმე რედაქციაში.

უმორჩილესად ვსთხოვთ ხელის მომწერელთ, ვისაც ჯერ ფული არ შემოუტანია, ივნისის 1-მდე შესოიტანონ, თორემ გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.

მმართველობა «ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა» ამით აცხადებს, რომ 25 მაისს, საღამოს ექვს საათზედ სათავადაზნაურო სკოლის დარბაზში იქმნება წლიური კრება ,,საზოგადოების“ წევრთა.

კრების განსახილველად შემდეგი საგნებია დანიშნული:

კარგად ჰხედავს, რომ ეს ასე არ არის და არ არის იმიტომ, რომ ჩვენი ცხოვრებაც წარმატების გზას ადგია, ჩვენშიც ახალი თაობა ერთია და ძველი კიდევ სხვაა. მაგრამ იქმნება ჰგონიათ, რომ ჩვენში ძველი და ახალი თაობა მოგონილი სიტყვაა იმიტომ, რომ ყველას ერთი და იგივე მიზანი წინ მიგვიძღვის, ყველას ჩვენგანს ერთი და იგივე სალმთო მოვალეობა აწევს კისერზე მამულის წინაშე! საოცარი ლოგიკაა! საერთო საგანი და საერთო მოვალეობა აქ არაფერ შუაშია. თვითოეულის თაობის წარმომადგენელს თავის განსაკუთრებული გზა აქვს ამორჩეული, ძველ თაობას თავის გზა, ახალს კიდევ თავისი. მოქმედობის საკუთარი პროგრამაც, თვით შინაარსი ამ პროგრამისა თვითეულს თაობას ხელთ უპყრია. მე და პ. უმიკაშვილს ერთი და იგივე მოვალეობა გვაწევს მამულის წინაშე, მაგრამ მე იმის პროგრამაზე ხელს არ მოვაწერ, როგორც არც ის მოაწერს ხელს ჩემს პროგრამაზე. რისთვის? მისთვის, რომ ჩემი და იმის შეხედულობა ცხოვრებაზე სულ სხვა და სხვა არის, მე და ის სულ სხვა და სხვა აზრისა ვართ, სხვა და სხვა ბანაკის წარმომადგენელნი.

ზოგიერთა ახალგაზდა ვაჟ-ბატონებს ეხლაც კი ჰგონიათ, რომ ყველა, ვინც კი ჩვენის statu quo-ს წინააღმდეგს დასწერს რასმეს, მამულის მოღალატედ უნდა ჩაითვალოს. წოდებათა შორის განხეთქილებას ხელს უწყობენ, ცხოვრებაში დამყარებულ ჰარმონიასა სპობენო,—ასე ჰკნავიან აწინდელ ჩვენის statu quo-ს მადიდებელნი. არ ესმით ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ მამული სხვა არის და ურთი-ერთობა, აწინდელი საზოგადოებრივი წეს-წყობილება კიდევ სხვა. ეს ვაჟ-ბატონები რომ მართალნი იყვნენ, მაშინ ძატკოვი პირველი მამულის-შვილი იქმნებოდა და გ. ზ. ელისეევი («Отечественныя Записки»-ს თანამშრომელი) მამულის წინამდეგი. რა შუაშია მამული, როდესაც ახალი თაობა ებრძვის წოდებრივ და ყოველ-გვარ უსამართლობას?

თუ კი მართლა მესხი «ცდილობდა მწერლობაში ყველანი დაეახლოვებინა განურჩევლად», მაშ დიდი შეცდომა მოსვლია. იქმნება ესეც იყოს მიზეზი იმ უფერულობისა და ულონობისა, რომელიც ასე აშკარად ეტყობოდა ძველ „დროებას“. მწერლობა პოლიტიკა არ არის. ყველა გაზეთს თავის მიმართულება უნდა ჰქონდეს და თუ «დროებას» წადილი აქვს სამსახური გაუწიოს საზოგადოებას, ყველას არ უნდა მიმართოს, ყველას ერთად თავი არ უნდა მოუყაროს. ყველანი ერთს ტაფაში ვერ მოთავსდებიან და თუნდაც რომ მოთავსდენ, საშინელი არეულ-დარეულობა მოხდება, რომლის გამოც გაზეთი განვითარების მაგიერ მთავარ-გონებას დაუბნევს მკითხველ საზოგადოებას. ვისთვის არის სანატრელი მწერლობაში ენათა შეშლა და ბიბლიური გოდოლი!?.

„ბატონს სერგეის განყოფა მავნებლად მიაჩნდა“-ო, ბძანებს ex—რედაქტორის სულის მოძღვარი. არ ვიცით—მართლა ამ ნაირი იყო რწმენა, ლიტერატურული profession de foi სერგეი მესხისა, თუ არა. ეს კია, რომ თუ მართლა სერგეის „განყოფა მავნებლად მიაჩნდა“, შეცდომა მოსვლია. პირველად—ეს განყოფა (ძველი და ახალი თაობა) ბუნებრივი მოვლენაა და ძველის და ახალის შეერთება არაოდეს არ იქმნება ორგანიული, ასე ვსთქვათ, შინაგანი. ამ გვარი შეერთება შერიგებაა, კომპრომისი, რომელიც ძველსაც და ახალსაც ფრთებს ჰკვეცავს, ასუსტებს. მწერლობისათვის საჭიროა, რომ თვითოეულს თაობას საკუთარი დროშა ეჭიროს, საკუთარი სარბიელი ჰქონდეს შემოხაზული. სანატრელია ლიტერატურული ბრძოლა და ეს ხომ მაშინ იქმნება, როდესაც მწერლები დას-დასად იქმნებიან განყოფილნი, ცალ-ცალკე ბანაკად დაბინავებულნი. სიცხოველე, გავლენა მწერლობისა მკითხველ საზოგადოებაზე ამ ნაირ განყოფაში მოიძებნება. მეორედ — ლიტერატურული ძალა მეხანიკური ძალა როდი არის. განყოფა მეხანიკურ ძალას აწვრილმანებს, ასუსტებს, ლიტერატურულს კი არა, მაგრამ ეს ხომ ზემოდ ვსთქვით. დააკვირდით ახალ ისტორიას და დაინახავთ, რომ ჩვენ მართალს ვამბობთ.

შესანიშნავია პ. უმიკაშვილის პოლიციური შეხედულობა მწერლობაზე. მაგრამ ამაზე კვლავ მოგწერთ წერილს.

ნ. ურბნელი.

გორი,
15 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) მოსმენა და დამტკიცება ,,საზოგადოების" საქმეთ-წარმოებისა 15 მაისიდამ 1882 წ. 15 მაისამდე 1883 წლისა.

5) მოსმენა და დამტკიცება მომავალის წლისათვის შედგენილის საგარაუდო შემოსავლის და დასახარჯის ფულის სიისა—და

3) საზოგადოების ახალ წევრთ ამორჩევა.

ბბ-ნი წევრთ იქვე შეუძლიანთ შემოიტანონ მათ მიერ-სვედრი წარსულის წლის საწევრო ფული. (8—2)

---

ტფილისის პირუტყვთა დამცველი საზოგადოება მოიწვევს თავის წევრებს საზოგადო კრებაზედ 20 ს ამ მაის 7½ საათზედ ბარიატინსკის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღში. მ ურველთ შეუძლიანთ დაესწრონ.

საგნები სხდომისა:

1) კონკურსის დანიშვნა პრემიაზედ, ვინც უკეთეს თხზულებას დასწერს ფოშტის ცხენის მოვლაზედ და

2) სასარგებლო ფრინველების დაცვა და სხვ. (3—1)

---

## ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან ინგლისურ მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე; ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფაინის ები, კლიტეები, ხაფანგები, რკინის გაღმები, ქაღალდი, ნიშები, რევოლვერები, თოფები, კა ი ა და ქაღალ ფუნაგირები, ალბომები, გლეოსკები, ჩაი | ლი ს ხაში სისა. (100—63)

---

**უპალორაკი**

აუარებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით

მმათა ტარნოპოლების

ქარხნის ადგის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ნარდათ მყიდველთ დაუთმობათ. (40—6)

ვერცხლის მაღაზი.

---

# ტფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა.

მმართველობა ტფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო-ბანკისა, ბანკის წესდების მე-15 § ძალით—17 თებერვალს 1881 წ. ამით აცხადებს, რომ ივნისის 20-ს ამ 1883 წ. შუადღის 12 საათზედ, ტფილისში, ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზედ თ. ბრუზინსკის სახლებში, № 13, იქნება გასყიდვა უძრავ ქონებათა ,,უპერეტორგკოთ" ქვემოთ მოხსენებულ პირთა, რადგანაც თავის დროზედ არ შემოუტანიათ ხვედრი ფული, რაც დაწესებულია ბანკის წესდების 13, 14, 15, 17, 18 და 19 პარაგრაფებით.

ქანანოვები, მაგდალინა პეტრეს ასული და ნიკოლოზ დავითის-ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფებით, თან ადგილი 190½ ოთხკუთხი საჟენი და 1 არშინი და 188 ოთხ-კუთხი გოჯი. 1 უჩასტკაში 1 განყოფილებაში ქ. ტფილისს, დავიდოვის და კამენდანტის ქუჩა. თავნი ვალი 47,240 მ. 93 კ. დარჩენილი 3170 მ. 90 კ. სულ 50,411 მ. 83 კ.

მადალაშვილისა, მარიამ დიმიტრის ასული. ოთხი ორ-სართულიანი სახლი, ხუთის ერთ-სართულიანის ფლიგელით და სარდაფი 958 კვად. საჟ. ქ. ტფილისში, მე-6 უჩასტ. 1 განყოფ., დამოკის ქუჩაზედ. თავნი ვალი 46,088 მ. 72 კ. დარჩენილი 5410 მ. 94 კ. სულ 51,499 მ. 66 კ.

ლიაშენკო, სვიმონ მოსეს-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ყველა განწყობილებით, ადგილის ზომა 200 კვად. საჟ. ქ. ტფილისში, მე-7 ავლაბრის უჩასტ. 2 განყოფ. თავნი ვალი 5761 მ. 9 კ. დარჩენილი 298 მს 20 კ. სულ 6059 მ. 29. კ.

ტერ-მიქელოვი, ასლან გაბრიელის-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ბაღი, ადგილის ზომა 500 კვად. საჟ. ქ. ტფილისში, ოლგინსკაგზა-ტკეცილზედ, ჯვრის მახლობლად. თავნი ვალი 6721 მან. 27 კ. დარჩენილი 345 მ. 90 კ. სულ 7067 მ. 17 კ.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული. ა) ერთ-სართულიანი ქვის დუქანი ბალაგანით, ბ) ორი სამ-სართულიანი დუქანი, ორი ორ-სართულიანი ქვიდუქნები და გ) თერთმეტი თითო-სართულიანი ქვის დუქანი 276 ოთხკუთხი საჟ. და 7 არშინი მიწით. ქ. ტფილისში ა) მეშვიდე ნაწილში და ბ) მე-14 ნაწილში 2 განყოფ. თავნი ვალი 24,130 მან. 80 კ. დარჩენილი 2220 მ. 96 კოპ. სულ 26,356 მან. 76 კ.

მირიმანოვი, ისაკ ზაქარიას-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ბაღი, ადგილის ზომა 1488 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისში, მე-13 ვარანცოვის უჩასტკაში, მესამე განყოფ. თავნი ვალი 4032 მ. 77 კ. დარჩენილი 212 მ. 34 კ. სულ 4245 მ. 11 კოპ.

ბეჟანბეგოვისა, ალექსანდრა თომას ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და დანარჩენის განწყობილებით. ადგილის ზომა 44 ოთხ-კუთხივ საჟ. ტფილისში, მე-3 ნაწილში, პირველს განყოფ., წყლის საზიდ ქუჩაზედ. თავნი ვალი 6721 მ. 26 კ. დარჩენილი 397 მ. 92 კოპ. სულ 7669 მან. 20. კ.

გაბუნია, მერაბ იაგორის-ძე. ორ-სართულიანი სახლი დუქნებით, ადგილი 125 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 3733 მ. 75 კ. დარჩენილი 315 მ. 15 კ. სულ 1049 მ. 90 კოპ.

ვარნეკ, ბარბარე იაგორის ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მეზონინით ადგილის ზომა 106 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისში, მე-9 ნაწილში, მე-2 განყოფ. თავნი ვალი 2905 მან. 87 კაპ. დარჩენილი 239 მ. 7 კ. სულ 3144 მან. 94 კაპ.

კომოროძენი, გიორგი და დავით ალექსანდრეს-ძენი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი მეზონინით და მოწყობილობით. მიწა ზომით დასხრობები 217 ოთხ კუთხი საჟ. მე-3 ნაწილში 1-ს განყ. ქ. ტფილისში, თავნი ვალი 19,759 მან. 90 კოპ. დარჩენილი 1504 მ. 92 კოპ. სულ 21,264 მ. 82 კ.

სპანდიერიანისა, ანნა აგაპარეს ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის შენობა, სარდაფის სართულით და სამი ფლიგელი ყოვლის განწყობილებით. ადგილის ზომა 325 ოთხ-კუთხივ საჟ. ქ. ტფილ. მე-4 ნაწილში, 1 გან. № 63. თავნი ვალი 26,559 მ. დარჩენილი 1966 მ. 91 კ. სულ 25,526 მ. 84 კ.

ბერმენოვისა, დარია გიორგის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ორიც ორ-სართულიანი ფლიგელი, რომელთაც უჭირამთ ალაგი 110 ოთხ-კ. საჟ. ქალაქის (უჩასტ.) განყოფილება, მოსკოვის ქუჩის ზეით. თავნი ვალი 6974 მ. 8 კ. დარჩენილი 524 მ. 40 კ. სულ 7498 მ. 48 კ.

ფორაქოვი, დავით ადამის-ძე. ორ-სართულიანი ქვითკითის სახლი სარდაფით და ორი ორ-ორ სართულიანი ქვითკირის ფლიგელებით ყველა თავისი კუთვნილებითა. ალაგი 400 ოთხ-კ. საჟ. 7 უჩ. ავლაბრის მეიდანზედ. თავნი ვალი 17,435 მ. 21 კ. დარჩენილი 1038 მ. 77 კ. სულ 18,473 მ. 98 კ.

ჩოლაყაშვილისა, სოფიო კოსტ. ასული ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით. ალაგი 68 ¾ ოთხ-კ. საჟ. ორბელიანის ქუჩაზედ. თავნი ვალი 6843 მ. 64 კ. დარჩენილი 409 მან. 70 კ. სულ 7263 მ. 34 კ.

უარაევი, ანდრია ოსიპის-ძე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ყველა კუთვნილობით. ალაგი 104 ოთხ-კ. საჟ. 5 უჩ. 1 განყოფ. ქათოლიკების ქუჩაზედ. თავნი ვალი 24990 მ. 48 კ. დარჩენილი 1896 მ. 38 კ. სულ 26,886 მ. 86 კ.

მნაწაკანოვი, ნერსეს ბუღდანის-ძე. ერთ სართულიანი ქვის სახლი სარდაფით, ფლიგელი და ოთხი დუქანი სარდაფებით, ზომა ადგილისა 110 ოთხ-კუთხი საჟენ. 7 უჩ. 2 განყოფილება ავლაბარში. თავნი ვალი 5811 მ. 74 კ. დარჩენილი 351 მ. 22 კ. სულ 6,162 მ. 96 კ.

შაიკოვი, იგივე ტერ-დავიდოვი, ოთხ-სართულიანი ქვითკირის სახლი მიწით 52 ოთხ კუთხ. საჟ. მე-5 უჩ. 1 განყ. პოლიციის ქუჩაზედ. თავმი ვალი 7755 მ. 27 კ. დარჩენილი 440 მ. 99 კ. სულ 7,996 მ. 26 კ.

ბებაშოვი, არსენ სულთანის-ძე. ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით და ფლიგელით და ხეხილისა და ვაზის ბაღი, ზომა ადგილისა 3642 ოთხ-კუთხი საჟენი ქალ. ერივანს. თავნი ვალი 9686 მან. 23 კ. დარჩენილი 489 მან. სულ 10,175 მ. 23 კ.

გოზალოვი, გრიგოლ ეგორის-ძე. სამ-სართულიანი ქვის სახლი სარდაფით, ყველა მოწყობილობით, ზომა ადგილისა 84 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-6 უჩ. 1 განყოფ. ქ. ტფილისს. თავნი ვალი 12,536 მ. 37 კ. დარჩენილი 1,155 მ. 79 კ. სულ 20,692 მ. 16 კაპ.

ბურდულოვი, ალექსანდრე სოლომონის-ძე. ერთ-სართულიანი ქვის სახლი, მეზონინით და ორი თავლა, ზომა ადგილისა 600 ოთხ-კუთხი საჟენი მე-11 უჩასტკ., 1 განყოფილებაში ქ. ტფილისს. თავნი ვალი 3167 მ. 69 კ. დარჩენილი 214 მ. 78 კ. სულ 3,382 მ. 41 კაპ.

არნაუტიანცი, გრიგოლ ოსიფის-ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით. ალაგი, 14 საჟ. და 2½ არშ. ოთხ-კუთხ. ს. 3 უჩ. 1 განყოფ. თავნი ვალი 3,907 მ. 27 კ. დარჩენილი 202 მ. 40 კ. სულ 4,109 მან. 67 კაპ.

გაბაშვილი, ალექ. ზაქარას-ძე. ორ-სართულიან ქვის სახლი ფლიგელით, სარდაფით და სხვა შენობებით, ზომა ადგილისა 160 ოთხ-კუთხი საჟენი, 1 განყოფილებაში, 1 უჩასტკ., ქ. ტფილისს, მოსკოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 6579 მ. 8 კ. დარჩენილი 233 მ. 76 კ. სულ 6812 მ. 84 კ.

ბარათოვი, ნიკოლოზ გრიგორის-ძე. ერთ-სართულიანი კვითკირის სახლი თავის განწობილებით და დუქნებით. მიწა ზომით 1382 ოთხ-კუთხი საჟ. მე-6 ვორონცოვის ნაწილში 1-ს განყ. ქ. ტფ. თავნი ვალი 8,791 მ. 37 კ. დარჩენილი 652 მ. 16 კ. სულ 9433 მ. 53 კ.

ციციანოვი, გიორგი ივანეს-ძე. სახნავი, სათიბი, საძოვანი და ტყე, სულ 967½ დესიატინა, ტფილისის მაზრა, ბორჩალოს უჩასტკა. თავნი ვალი 15,787 მ. 63 კ. დარჩენილი 1,006 მ. 52 კ. სულ 16,794 მ. 15 კ.

ერისთავი, ლუარსაბ ალექსანდრეს-ძე. სახნავი ადგილები ზომით 101 დესიატ. და 1,600 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერ., გორის მაზრაში, სოფ. ნაწრეტი. თავნი ვალი 1,973 მ. 46 კ. დარჩენილი 139 მ. 76 კ. სულ 2,113 მ. 22 კ.

მელიქოვი, ივანე ალექსანდრეს-ძე. სახნავ-სათიბი და საბალახე ადგილ-